N 11
03.07.2024

11-27-4-202407031424

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის

ბრძანება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის მოსაპორვებლად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო საბუთების მიღების და საბუთების განმხილველი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის N12 დადგენილების დანართ N2– ის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანება N 279 /ძ (2024 წლის 16 ივნისი) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოცხადდეს აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე (გარდა პოლიტიკის მეცნიერების დარგში) განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებით წარმოჩენილი ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის კონკურსი ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად.
2. სტიპენდიის მოპოვებისთვის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

2.1 პროფესორის 1 რეკომენდაცია;
2.2 პირადობის მოწმობის ასლი;
2.3 სტუდენტის სასწავლო ბარათი;
2.4 სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2.5 სიგელები;
2.6 სერტიფიკატები არსებობის შემთხვევაში;
2.7 ინფორმაცია საზოგადოებრივი აქტივობის შესახებ;
3. ამ ბრძანების მეორე პუნქტში განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება 2024 წლის 4 ივლისიდან – 11 ივლისის 17 საათის ჩათვლით თსუ პირველი

კორპუსის 208-ე ოთახში (საკონტაქტო პირი: ეკატერინე ანდღულაძე)

4. სტიპენდიატის წარსადგენად დამტკიცდეს საბუთების განმხილველი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

4.1 . ნინო ჩიქოვანი
4.2 თეიმურაზ პაპასქირი
4.3 მერაბ ჩუხუა
4.4 მიხეილ ბახტაძე
4.5 ქეთევან ხუციშვილი
4.6 ნანა მაჭავარიანი
4.7. ეკატერინე ნავროზაშვილი

6. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

დარეჯან თვალთვაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი